პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომунисти ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
28 აპრილი
1939 წ.
№ 97 (5497)
ფასი 10 კაპ.

საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციურ ძალთა დათვალიერება

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები 1939 წლის 1 მაისისათვის. წელს სრულდება საბჭოთა კავშირის ბედნიერი ხალხები საპირველმაისო დღესასწაულის ორმოცდაათი წლისთავს უდიდესი მიღწევებით, უსაზღვრო, ბრწყინვალე პერსპექტივებით ხვდებიან. საქ. კ. პ. (ბ) ისტორიულმა XVIII ყრილობამ დაგვიხატა კომუნიზმისაკენ წინსვლის დიდი პროგრამა. კაპიტალის ქვეყნების მშრომელნი სიყვარულით, სიამაყითა და იმედით შესცქერიან დიად საბჭოთა კავშირს — ყველა ქვეყნის ექსპლოატირებულთა და ჩაგრულთა სამშობლოს, მშვიდობიანობის ციხე-სიმაგრეს. სსრ კავშირი უჭრობელი შუქურაა, რომელიც გამარჯვების გზას უნათებს ყველას, ვინც კი მამაცურად, თავდადებით იბრძვის ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ, ომის ბოროტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ჩვენი ძმური სალამი კლასობრივ ძმებს, კაპიტალის ტყვეებს. ფაშისტური ტერორის მსხვერპლთ, მთელს მსოფლიოში მუშათა კლასის გამარჯვებისათვის მებრძოლთ!

რაც უფრო თავგანწირულად მოქმედებენ ფაშისტი მოძალადეები, მით უფრო იზრდება პროლეტის ტალღა ხალხის ფართო მასებში, მით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ ხალხები ჯალათ-დამმონებლებს. ჩინეთის ხალხის მასები, რომელნიც ერთიან ნაციონალურ ფრონტად დაირაზმნენ, მამაცურად იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას იაპონიის იმპერიალიზმის თავდასხმისაგან. ანტიფაშისტური მოძრაობა ძლიერდება საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში. ეს მოძრაობა იზრდება ფაშისტური დიქტატურის სახელმწიფოებშიც. იდეა თავისი რიგების გაერთიანებისა, ძალების დარაზმვისა, რაც ფაშიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ძირითად პირობას წარმოადგენს, სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება ხალხის ფართო მასების შეგნებაში.

ყველა ქვეყნის მუშებო, მუშა-ქალებო, გლეხებო და მშრომელებო! გააფართოეთ და განამტკიცეთ ფაშიზმის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო ფრონტი! მშვიდობიანობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის, სოციალიზმისათვის!

კაპიტალის ქვეყნების მშრომელნი 1 მაისს შეხვდებიან მეორე იმპერიალისტური ომის პირობებში, რომელიც ჩაღდება. ხდება ევროპის, აფრიკისა და აზიის რუკის ძალდატანებითი გადაკეთება. კაპიტალისტური სამყაროს მშფოთარე ოკეანეში, სამყაროსი, რომელსაც ომის უფსკრულში აგდებენ, რომელიც შერყეულია სასტიკი ეკონომიური კრიზისით, მიუვალ სალკლედ აღმართულა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა—სსრ კავშირი.

„ჩვენ არ გვეშინია აგრესორთა მუქარისა და მზადა ვართ ორმაგი დარტყმით ვუპასუხოთ დარტყმას ომის გამჩაღებლებისას, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა“. (სტალინი).

დიდია ძლიერება სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც ეყრდნობა საბჭოთა საზოგადოების მაღალ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მასში მოსახლე ხალხთა ძმურ კავშირს, ჩვენს მზარდ სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერებას, უძლეველ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ჩვენს სახელოვან ავიაციას. სოციალიზმის ქვეყნის ყველა მტრისათვის მრისხანე გაფრთხილებად გაისმა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული მესამე ხუთწლიანი გეგმა—კომუნიზმის შენებლობის გრანდიოზული გეგმა.

მუშებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა ინტელიგენციავ! იბრძოლეთ ამ გეგმის შესრულებისათვის!

წარმოების ტექნიკისა და ჩვენი მრეწველობის ხრდის ტემპების მხრივ ჩვენ უკვე დავეწიეთ და გავუსწორით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ახლა ჩვენს წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანა: ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი, ნავთი, ფოლადი, მანქანა, ელექტროენერგია! რაც შეიძლება მეტი ჩითი, აბრეშუმი, მაუდი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს!

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სამშობლო 10-15 წლის შემდეგ სულობრივი მოხმარების ნორმების მხრივაც პირველ ადგილზე იქნება მსოფლიოში. ამის საწინდარია სოციალისტური შრომის მუშაკთა უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობა ქალაქში და სოფლად, სტახანოვური მოძრაობის სწრაფი განვითარება.

ახლა ქარხნებში, ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებში ჩვენ ვხედავთ არა ცალკეულ გმირებს—ერთეულებს, არამედ გმირთა მთელ ხალხს, შემოქმედთა ხალხს. ყოველდღე მრავლდებიან სტახანოვური ბრიგადები, სტახანოვური რგოლები, სტახანოვური საამქროები!

დაუშრეტელია ენერგია, უსაზღვროა შემოქმედებითი ენტუზიაზმი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც ასხივოსნებს სტალინური კონსტიტუციის მზე და რომელმაც შეიცნო სოციალისტური შრომისა და ნამდვილი დემოკრატიის ფასი. რამდენია ჩვენში უსაზღვროდ გაბედული ადამიანი, რომელიც საგმირო საქმეებს სჩადის თავისი დიდი სამშობლოს სასახელოდ! რამდენია განთქმული ორდენოსანი, სოციალისტური ქარხნების, მინდვრების, სკოლების, მეცნიერებისა და ხელოვნების სახელოვანი მუშაკი! თანასწორუფლებიანი საბჭოთა ქალი დღითი-დღე სულ უფროდაუფრო აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მმართველობაში, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ საქმეთა მმართველობაში. იზრდება და იწრთობა ახალგაზრდობა, კომკავშირი—ბოლშევიკური პარტიის მძლავრი რეზერვი. მტკიცდებიან და მრავლდებიან ლენინ-სტალინის პარტიის მიერ გამოზრდილი და გამოწრთობილი ახალი კადრები.

ბოლშევიკური კადრები პარტიისა და სახელმწიფოს ოჭროს ფონდს წარმოადგენენ. მზრუნველობით გამოზარდეთ კადრები, პატივისცემით მოეპყარით მათ, დაიფასეთ ისინი!

მესამე ხუთწლედის გეგმა არის სსრ კავშირის ხალხთა კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების გეგმა. პასუხსაგები როლი ეკისრება ჩვენს ინტელიგენციას, მრავალრიცხოვან, ახალ, საბჭოთა ინტელიგენციას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან და მზადაა ემსახუროს მას. იმისთვის, რომ წარმატებით გაართვას თავი კომუნიზმის შენებლობის დიად ამოცანებს, ჩვენი ინტელიგენცია, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ურომლისოდაც არცერთ სპეციალისტს არ შეუძლია იყოს ახალი საზოგადოების ნამდვილი მშენებელი.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ ინტელიგენციას!

მტკიცედ და სრული რწმენით მიდის საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშვენიერებისაკენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით. გაანადგურა რა მტრები, გასწმინდა რა თავისი რიგები ფაშისტურ დაზვერვათა ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტებისაგან, ბოლშევიკური პარტია გახდა კიდევ უფრო მონოლიტური, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული თავისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტია ხალხის ფარ-ხმო მასებთან. ურღვევია პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ბლოკი.

უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული მშრომელთა ბრძენი, დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინისადმი. ეს სიყვარული საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერგიის მაცოცხლებელი წყაროა. იგი გმირული საქმეებისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა პატრიოტებს, სოციალისტური სამშობლოს ერთგულ ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს, გაბედულებითა და მამაცობით აღავსებს მათს გულს, ამაზვილებს მათს თავსა და აწრთობს გონებას. სტალინის სახელი სიმბოლოა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერების საქმისათვის მებრძოლისა.

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ დროშას! გაუმარჯოს ლენინიზმს!

„პრავდის“ მოწინავე, 27/IV.

ბრძანებულება

სსრ ჭავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ფერადი მეტალურგიის საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივების დაჯილდოების შესახებ

წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და სტახანოვური მუშაობის წარმატებით მოწყობისათვის დაჯილდოებულ იქნან შემდეგი საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივები:

ლენინის ორდენით

მ. ა. ვალიანინის სახელობის ჩიმკენტის ტყვიის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

დნეპროვსკის მაგნიუმის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 26 აპრილი.

ფერადი მეტალურგიის საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, მაღაროებში, საბადოებში, საამქროებში, ავტოგატებზე სანიმუშო სტახანოვური მუშაობისათვის და ფერადი მეტალურგიის ახალი დარგების წარმატებით ათვისებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ფერადი მეტალურგიის საწარმოთა 679 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულ 23 ამხანაგს შორის არიან: პ. ფ. ავრამენკო,—ქარხანა „უკრკაბის“ № 9-10 ღუმელების უფროსი, პ. ი. ანტროპოვი—„გლავცინკსვინეცის“ ყოფილი უფროსი, ამჟამად ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოადგილე, ვ. ა. ვალუევი—ბაჰრერანგის კალის კომბინატის ბრიგადირი-მწვრეველი, დ. ა. ბოჩკოვი—ოქროს მრეწველობის მთავარსამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოადგილე, ა. ი. გლადკოვი—სპილენძის დამმუშავებელი ქარხნის—„კრასნი ვიბორჟეცის“ მეწყალსადენე ოსტატი, ა. ი. სამოხვალოვი—ვოლხოვის კიროვის სახელობის ალუმინის ქარხნის ყოფილი დირექტორი, ამჟამად ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარი, და სხვები.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 66 კაცი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 136 კაცი.

180 კაცი დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

და 274—მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“. (საკდესი).

ბაქო. ელექტროგზა ნავთის სარეწაოებში.

საბჭოთა აზერბაიჯანის 19 წელი

1920 წლის 28 აპრილს ბაქოს საპელოვანმა პროლეტარიატმა, დიდი სტალინის მიერ აღზრდილმა და კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში გამოწრთობილმა, აზერბაიჯანის შრომელ გლეხობასთან ერთად, ლენინ-სტალინის გმირული პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მოიშორა კონტრრევოლუციური მუსავატის საზიზღარი უღელი და სამუდამოდ დაამკვიდრა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიის ახალი ბრწყინვალე თავი.

საბჭოთა აზერბაიჯანმა 19 წლის მანძილზე განვითარების გიგანტური გზა განელო და მოწინავე აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, დიდი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა. დიდი სტალინის სახელოვან მოწაფეთა და თანამებრძოლთა, მგზნებარე ბოლშევიკების—ორჯონიკიძის, კიროვის და ბერიას ხელმძღვანელობით აზერბაიჯანი, ისევე როგორც ამიერკავკასიის ყველა მოძმე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ჩვენი ძლიერი სამშობლოს ერთერთ აყვავებულ მხარედ გადაიქცა.

საბჭოთა აზერბაიჯანმა ნავთის მრეწველობისაგან და აზერბაიჯანის ხალხის მოსისხლე მტრების — მუსავატელებისაგან მემკვიდრეობად მიიღო ნავთის დანგრეული მრეწველობა. ხელ მოჰკიდეს რა ნავთის მრეწველობის აღდგენასა და რეკონსტრუქციას, ბაქოს მუშებმა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში შეიქმნა და კოლოსალურად გაიზარდა აზერბაიჯანის ნავთის გადამმუშავებელი მრეწველობა. ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები, რომლებიც მოწინავე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არიან აშენებული, წლითიწლობით ადიდებენ ნავთის გადამუშავებას.

შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები, რომლებიც რესპუბლიკაში წინათ არ არსებობდნენ: იოდბრომის, მანქანათმშენებლობის, სამკერვალო, ტყავეულის, ავეჯის, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, ხორცის, კონსერვისა და სხვ. შეიქმნა ახალი სამრეწველო რაიონები: კიროვაბადი, სტეფანაკერტი, ნუხა, ნახჭევანი, ლენკორანი, ორდუბადი და სხვები.

ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია საბჭოთა აზერბაიჯანმა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი განუყოფლად ბატონობენ აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს იმ ბრწყინვალე წარმატებებს, რომლებსაც აზერბაიჯანის ხალხმა მიაღწია ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და შეუსუსტებელი დახმარების მეოხებით.

აზერბაიჯანში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოხდა. დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი მარტო მეორე ხუთწლედის განმავლობაში 438,3 ათასი კაცით, რაც პირველი ხუთწლედის დამლევისათვის იყო, მეორე ხუთწლედის დამლევისათვის 577,7 ათას კაცამდე გაიზარდა. ამავე სკოლებში აზერბაიჯანელ მოსწავლეთა რიცხვი მეორე ხუთწლედის განმავლობაში 261,2 ათასი კაცით 340 ათას კაცამდე გაიზარდა. უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვმა 10,8 ათას კაცს მიაღწია. ტექნიკუმებისა—22,8 ათას კაცს. ამჟამად აზერბაიჯანს აქვს 64 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უდიდესი ფილიალი—აზფანი. უდიდესი ტირაჟით გამოდის რუსული და აზერბაიჯანული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსების: პუშკინის, გორკის, ტოლსტოის, ვაჟიფა-მირზას, ფატალი ახუნდოვის, საბირისა და მრავალი სხვების შესანიშნავი ნაწარმოებები.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მიღწეული გრანდიოზული წარმატებანი, რითაც თავის 19 წლისთავს შეხვდა საბჭოთა აზერბაიჯანი, შედეგია აზერბაიჯანის ბეჯითი, თავისუფალი ხალხის გმირული შრომისა, ბოლშევიკური პარტიის გენიალური გეგმის და საგმირო საქმეების განხორციელებისა, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისა, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების, სოციალიზმის ყველა მტრის სულმობლად განადგურებისა, იმ უდიდესი მამობრივი მზრუნველობისა, რომელსაც აზერბაიჯანის ხალხის მიმართ იჩენს ბრძენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

აზერბაიჯანში სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებებს უნდა მიეკუთვნოს აზერბაიჯანელი ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების შექმნა.

აზერბაიჯანის ბოლშევიკები, ასრულებდნენ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, ყოველდღიურად იბრძოდნენ იმისათვის, რომ მაღალკვალიფიციური კადრები მოემზადებინათ რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისათვის, მოემზადებინათ ისეთი კადრები, რომლებიც ბოლშევიზმს დაეუფლნენ და უსაზღვროდ ერთგულნი არიან ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა, მისი დიდი ბელადის, მშობლიური სტალინისა.

აზერბაიჯანის ბოლშევიკები, აზერბაიჯანის ხალხი, სტალინის ისტორიული მოხსენებითა და პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებით შეიარაღებულნი, ჩაებნენ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმების ბოლშევიკურად შესრულებისათვის ბრძოლაში.

უდიდეს ამოცანას, რომელიც მესამე სტალინურ ხუთწლედში დასახულია აზერბაიჯანის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე, წარმოადგენს შემდგომი ბრძოლა ნავთის მრეწველობის გაუხრელი აღმავლობისათვის.

მესამე ხუთწლედში დასახულია აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. ნავარაუდევია ბამბის მოსავლიანობის ზრდა სულ მცირე 50 პროცენტით. მკვეთრად გადიდდება ეგვიპტური ბამბის ნათესები. აზერბაიჯანის მშრომელთა ღირსების საქმეს წარმოადგენს შემდგომი ბრძოლა ბამბის ნათესების გაფართოებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მესამე სტალინური ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანები ითვალისწინებენ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ ტექნიკურ შეიარაღებას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომ განმტკიცებას.

ბაქოს ნავთის მუშაკებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ შეუფერხებლივ მიაწოდონ მაღალხარისხოვანი საწვავი მასალა სსრ კავშირის მთელ სახალხო მეურნეობას.

საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელებს მტკიცედ ახსოვთ ამხანაგ სტალინის მითითება კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ. მათ მტკიცედ ახსოვთ, რომ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კაპიტალიზმის ქვეყნების საზღვარზე მდებარეობს. ისინი დაუღალავად მუშაობენ იმისათვის, რომ განმტკიცონ ძლიერება აზერბაიჯანისა, რომელიც 19 წლის მანძილზე ურყევად სდგას, როგორც სოციალიზმის ციტადელი აღმოსავლეთში, ისინი დაუღალავად მუშაობენ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ საბჭოების ქვეყნის საზღვრების მთლიანობა, გადააქციონ ბაქო თავდაცვის ურყევ ციხე-სიმაგრედ, მუშაობენ მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდგომი ტექნიკური შეიარაღებისათვის.

ფხიზლად იცავს რა თავის საყვარელ სამშობლოს, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. (აზდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

25 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა გემთსაშენი მრეწველობის მუშაკებს. რომელნიც დაჯილდოებულნი არიან ხომალდების მშენებლობის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის იარაღთა ახალი ნიმუშების ათვისებისათვის.

ორდენები და მედლები მიიღეს მარიუპოლის ილიჩის სახელობის ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. ფ. გარმაშევმა, ქარხნის მუშაკებმა: ჩარხის უფროსმა ამხ. ლ. ტ. მიროშნიჩენკომ, მეფოლადემ ამხ. ე. ვ. მოისეენკომ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ამხ. ა. ჰ. პანინმა, იჟორსკის ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. ს. კაბაკოვმა, ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. მ. ნ. პოპოვმა, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ა. ს. ზავიალოვმა, სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიის მსმენელმა ამხ. მ. ნ. მაზაიმ, რომელიც წინათ მარიუპოლის ილიჩის სახელობის ქარხნის მეფოლადედ მუშაობდა, და გემთსაშენი მრეწველობის მრავალმა სხვა მუშაკმა.

შემდეგ ჯილდოები გადაეცა საფეიქრო მრეწველობის იმ მუშაკთა ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის და სტახანოვური მუშაობის ნიმუშების მოკიმისათვის.

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ჯგუფმა მიიღო ჯილდოები თვალსაჩინო წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობაში.

ამხანაგმა მ. ი. კალინინმა დაჯილდოებულ ამხანაგებს მიულოცა ჯილდოს მიღება და ახალი წარმატებანი უსურვა მათ.

ჰროეკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი

26 აპრილის პლენუმის დილის სხდომაზე ამხ. შვერნიკის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა პრეზიდიუმის წევრი და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საჩივართა ბიუროს გამგე ამხ. ვორონინა. ამხ. ვორონინამ, რომელმაც თავისი სიტყვა მრავალი მაგალითით დაასურათა, ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა უფრო გულდასმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი. ეს საჩივრები პროფკავშირთა ზოგიერთ ცენტრალურ კომიტეტში თვეობით მყარდება. ამხ. ვორონინამ მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები იმისა, რომ უხეშად ამახინჯებდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას შრომის დისციპლინის მოწესრიგების შესახებ, და მოუწოდა პროფკავშირთა მუშაკებს გააძლიერონ მასობრივ - აზსნაგანმარტებითი მუშაობა მშრომელებში, და, პირველ ყოვლისა, იმ ძნელ მუშებსა და მოსამსახურეებში, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს მუშაობა საწარმოებში.

პროფკავშირებში თავდაცვითი მუშაობის გაშლის ამოცანებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გლებოვმა.

ამხ. რემიზოვმა (მძიმე მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე) ილაპარაკა მასობრივ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოში — ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხანაში.

რკინიგზელთა შორის უდიდეს საწარმოო აღმავლობაზე ილაპარაკა შუა-აზიის რკინიგზების მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. შალიმომ.

ამხ. გორბაჩევის (სამდინარო ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე) გამოსვლის შემდეგ კამათი შესწყდა.

26 აპრილის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ნიკოლაევას მოხსენების გამო, რომელიც ეხებოდა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას შრომის დისციპლინის მოწესრიგების შესახებ, და მოუწოდა პროფკავშირთა მუშაკებს გააძლიერონ მასობრივ - აზსნაგანმარტებითი მუშაობა მშრომელებში, და, პირველ ყოვლისა, იმ ძნელ მუშებსა და მოსამსახურეებში, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს მუშაობა საწარმოებში.

ამხ. შვერნიკმა მოუწოდა პროფკავშირულ ორგანიზაციებს კონკრეტული საქმეებით, კომუნიზმის ახალ გამარჯვებათათვის ბოლშევიკური ბრძოლით უპასუხონ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

პლენუმმა აირჩია კომისია 40 კაცის შემადგენლობით ამხ. ნ. მ. შვერნიკის მოხსენების გამო რეზოლუციის შესამუშავებლად.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის მონაწილეებმა დიდის აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

დილის სხდომის დასასრულს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხ. ნ. ი. ნიკოლაევამ მოხსენება გააკეთა პროფორგანიების: პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, საოლქო, სამხარეო და ცენტრალური კომიტეტების არჩევნების შესახებ.

საქართველოს საგზაო მუშაკების შეხვედრა უკრაინის პრესის მუშაკებთან

კიევი, 27 აპრილი (ჩვენი სპეც. კორ.). 26 აპრილს საგზაო მუშაკთა დელეგაცია მიიწვიეს „სოვეტსკაია უკრაინას“ და „კომუნისტის“ რედაქციებმა. გაზეთ „სოვეტსკაია უკრაინას“ რედაქტორის კაბინეტში შეკრიბნენ ორივე რედაქციის ძირითადი მუშაკები „სოვეტსკაია უკრაინას“ რედაქტორის ამხ. პროყოგინის და „კომუნისტის“ რედაქტორის ამხ. ჩეკანიუკის მეთაურობით. ორდენოსანი საქართველოს საგზაო მუშაკთა წარმომადგენლებს პრესის მუშაკებმა განსაკუთრებული შეხვედრა გაუმართეს. მეგობრულ საუბარში საქართველოს საგზაო მუშაკებმა ილაპარაკეს იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელიც საქართველოს მშრომელებმა ჩაატარეს კულტურული გზებისათვის ბრძოლაში. წაკითხულ იქნა დეპეშა, რომელიც დელეგაციამ მიიღო საქართველოს გზათა მთავარი სამმართველოს კოლექტივისაგან იმ უდიდესი აღმავლობის შესახებ, რაც საქართველოს საგზაო მუშაკთა შორის გამოიწვია ხელშეკრულების დადებამ. საქართველოს წარმომადგენლები აღნიშნავდნენ საქართველოს პრესის, განსაკუთრებით გაზეთ „კომუნისტის“ უდიდეს დახმარებას კულტურული გზებისათვის ბრძოლის საქმეში.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. პროყოგინი, რომელმაც აღნიშნა საქართველოს საგზაო მშენებლობის უდიდესი მიღწევები და გამოსთქვა სურვილი უკრაინის ცენტრალურ გაზეთებსა და „კომუნისტს“ შორის მოეწყოს სპეციალური გვერდების გაცვლა.

ა. კელენჯერიძე

ღონბასელი მაღაროელები ყუაარჩელში

(აქკორშარა, საკ. კორესპონდენტისაგან)

ტყვარჩელში დონბასის მაღაროელთა დელეგაციის ყოფნის დღეები გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი სიმტკიცის ბრწყინვალე დადასტურებად. სერგოს რაიონის ოცდაორი, მეექვსე და სამოცდამეცხრამეტე შახტების მაღაროელთა დელეგაცია, რომელშიც შედიან ორდენოსანი მაღაროელები ბრიგადირი პოკლადი, ათისთავი კალუმინა, ბრიგადირი გაიხუიუდინოვი და სხვ., 22 აპრილიდან ეცნობიან შახტის მუშაობას.

23 აპრილს სტუმრები გაეცნენ პირველი და მეოთხე უბნების მუშაობას და გაუზიარეს მაღაროელებს თავიანთი გამოცდილება.

24 აპრილს დელეგაცია შეხვდა ტყვარჩელის მაღაროელებს სპეციალურად მოწვეულ კრებაზე, რომელზეც დელეგაციის მეთაურმა გუსევმა განაცხადა: — მზიარ საქართველოში ჩვენ ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ. საინტერესოა ეს შეხვედრაც მოძმე მაღაროელებთან. ჩვენ მივგვიღეს როგორც ძვირფასი სტუმრები, გავეცანით შაღაროელებს, გავუზიარეთ ურთიერთს გამოცდილება.

საქართველოს და უკრაინის მაღაროელთა შეჯიბრება უდიდესი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ამ შეჯიბრებამ უკვე გამოიღო თავისი შედეგები როგორც აქ, ისე ჩვენთან.

თავიანთ გამოსვლებში ტყვარჩელის სტახანოველები სიტყვას იძლეოდნენ, რომ მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს.

დონბასელთა დელეგაცია ამ დღეებში გაიფორმებს ტყვარჩელთან შეჯიბრების ხელშეკრულებას.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

25 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა გემთსაშენი მრეწველობის მუშაკებს. რომელნიც დაჯილდოებულნი არიან ხომალდების მშენებლობის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის იარაღთა ახალი ნიმუშების ათვისებისათვის.

ორდენები და მედლები მიიღეს მარიუპოლის ილიჩის სახელობის ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. ფ. გარმაშევმა, ქარხნის მუშაკებმა: ჩარხის უფროსმა ამხ. ლ. ტ. მიროშნიჩენკომ, მეფოლადემ ამხ. ე. ვ. მოისეენკომ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ამხ. ა. ჰ. პანინმა, იჟორსკის ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. ს. კაბაკოვმა, ქარხნის მთავარმა ინჟ

ՀՈՒՇԱՐՁԱՆԻ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԹԱՏՐՈՆԻ ԱՌԱՋԻՆ ՀԱՆԴԻՍԱԽՈՍՈՒԹՅՈՒՆԸ

Ա.Ա.ՀԱՅՐԱՊԵՏՅԱՆԻ ԱՆՎԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԹԱՏՐՈՆԻ ԱՇԽԱՏԱԿԻՑՆԵՐԸ ԵՎ ՍՊԱՍԱՐԿՈՒՀԻՆԵՐԸ

ՀՈՒՇԱՐՁԱՆԻ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԹԱՏՐՈՆԻ ԱՇԽԱՏԱԿԻՑՆԵՐԸ ԵՎ ՍՊԱՍԱՐԿՈՒՀԻՆԵՐԸ

ՀՈՒՆԻՍԻ 28-ԻՆ, ԿԻՐԱԿՈՒ ՕՐԸ ԿԱՏԱՐՎՈՒՄ Է ՀՀ ԱԺԳ ՆԱԽԱԳԱՀ ՎԱԼԵՐԻ ՍՈՍԿՈՎԵՑՈՒ ՀԱՆԴԻՊՈՒՄԸ

ՀՈՒՆԻՍԻ 29-ԻՆ, ՇԱԲԱԹ ՕՐԸ ԿԱՏԱՐՎՈՒՄ Է ՀՀ ԱԺԳ ՆԱԽԱԳԱՀ ՎԱԼԵՐԻ ՍՈՍԿՈՎԵՑՈՒ ՀԱՆԴԻՊՈՒՄԸ

**ՀՈՒՆԻՍԻ 30-ԻՆ, ԿԻՐԱԿՈՒ